

სანდრა ველიო მატეუ

საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდა ბოშების გამოწვევები და კრობლემები



საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)
თბილისი, საქართველო

2017

თარჯიმანი: მარიამ წინიკაშვილი

რედაქტორები: გიორგი გოგუაძე, დენოლა ჩხარტიშვილი

საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდა
ბოშების გამოწვევები და პრობლემები

პოლიტიკის დოკუმენტი

სანდრა ველიო მატეუ

საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)

თბილისი, საქართველო

2017

პუბლიკაცია გამოიცა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) მხარდაჭერით. დოკუმენტში ასახული მოსაზრებები და ინფორმაცია არ გამოხატავს ODIHR-ის პოლიტიკასა და შეხედულებებს.

თბილისი, საქართველო, 2017

I. შესავალი

მიზანი და მეთოდოლოგია

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მიზნად ისახავს, მიმოიხილოს საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდა ბოშების მდგომარეობა და მათ წინაშე არსებული პრობლემური საკითხები, მათ შორის ახალგაზრდა ქალებისა და გოგონების მდგომარეობის განსაკუთრებული ხაზგასმით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ფოკუს ჯგუფები ჩატარდა საქართველოში, ბოშათა სხვადასხვა დასახლებაში, რათა უკეთ შესწავლილიყო ბოშათა მდგომარეობა და გამართულიყო დისკუსია ზოგადად ბოშა თემისთვის და, კერძოდ, ახალგაზრდებისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე. ფოკუს ჯგუფები ჩატარდა დედოფლისწყაროში - კახეთი, გაჩიანში - ქვემო-ქართლის რეგიონი, ქობულეთი - აჭარის რეგიონი, სამგორის რაიონში - თბილისი. სესიების ორგანიზება უზრუნველყო „საქართველოს რეფორმების ასოციაციამ“ (GRASS) საქართველოში ბოშათა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით. კერძოდ, ორგანიზაციები: „კახეთის ბოშათა გაერთიანება რომა“, „ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა“ და „უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი“ - მუშაობდნენ თემის წევრების იდენტიფიცირებასა და მათ ჩართულობაზე, ვინაიდან ისინი ნდობით სარგებლობენ ბოშათა თემში. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენდა დოკუმენტის წარმატებით მომზადების პროცესში.

ფოკუს ჯგუფების ჩატარების მთავარი მიზანი იყო საქართველოში ბოშათა თემის ზოგადი მდგომარეობის გამოკვლევა და კონკრეტულად, ახალგაზრდა ბოშებისთვის აქტუალური საკითხების გამოაშკარავება, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა გენდერულ საკითხზე. ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღეს ბოშათა თემის ახალგაზრდა წარმომადგენლებმა, რომლებიც 15-დან 29 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენდნენ. მონაწილეებში შედიოდნენ ქალები და გოგონები. შერჩეული მონაწილეებიდან მხოლოდ რამდენიმე მონაწილე იყო ბოშათა ახალგაზრდული პლატფორმის წევრი, რომელიც GRASS-ის მიერ განხორციელებული პროექტის „საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდა ბოშების გაძლიერება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობისა და ადვოკატირების გზით“ ფარგლებში შეიქმნა. ამავდროულად პროექტის ფარგლებში მომზადდა აღნიშნული დოკუმენტიც.

ფოკუს ჯგუფის მახასიათებლები:

- დედოფლისწყარო - 11 მონაწილე (7 ქალი) ასაკი 15-27;
- გაჩიანი - 13 მონაწილე (4 ქალი), ასაკი 18-26;

- ქობულეთი - 12 მონაწილე (7 ქალი), ასაკი 15-29;
- სამგორის რაიონი (თბილისი) – 16 მონაწილე (9 ქალი), ასაკი 19-29.

ჭერ კიდევ საპროექტო განაცხადის მომზადებამდე, „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“ (GRASS) რამდენჯერმე ჩავიდა მიზნობრივ რეგიონებში, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა წინასწარი ანგარიში. საერთო ჯამში, საქართველოში მცხოვრებ ბოშათა საჭიროებების შესაფასებლად ბოშათა თემის 70 წარმომადგენელი (30 ქალი და 40 მამაკაცი) გამოიკითხა, მათ შორის ფოკუს ჯგუფისა და კითხვარის მეშვეობით.

II. მიმდინარე ვითარება: მოკლე მიმოხილვა

საქართველოში მცხოვრები ბოშათა თემი¹ უკიდურესად მარგინალიზებული და ღარიბია. შესაბამისად, ზოგადი ვითარება დიდ გავლენას ახდენს ახალგაზრდა ბოშებზეც, რომლებიც განსაკუთრებულად მოწყვლად ჯგუფად განიხილებიან. ახალგაზრდა ბოშები აწყდებიან ბარიერებს არა მხოლოდ სამოქალაქო ინტეგრაციის, არამედ ღირსეული ცხოვრებისა და რეალიზების კუთხითაც, რამდენადაც მათი ფუნდამენტური უფლებები ხშირად ირღვევა.

მიუხედავად ამ ვითარებისა, საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვაზე ვალდებულება აქვს აღებული გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელმოწერით. ორივე ინსტრუმენტი გულისხმობს ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების მიმართ. გარდა ამისა, საქართველო ევროპის საბჭოს „ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციის ერთ-ერთი ხელმოწერილია, რაც განსაკუთრებულ ზომებს მოიცავს ქვეყნის ეროვნული უმცირესობების, მათ შორის ბოშების, დაცვის მიმართულებით. ყველა ეს ვალდებულება წესით უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ბოშები ისეთივე უფლებებით სარგებლობდნენ, როგორც საქართველოს ყველა სხვა მოქალაქე. ამავე ვალდებულებებით, მათი კულტურა უნდა იყოს წახალისებული და დაფასებული, რაც დღევანდელი მდგომარეობით შორსაა რეალობისგან.

აღსანიშნავია, რომ ბოშა ქალები და გოგონები საქართველოში მცხოვრები ბოშა მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენენ, მაგრამ ისინი განსაკუთრებულად მოწყვლად ჯგუფად რჩებიან თვით ბოშათა თემში მათი სტატუსის გამო. მიღებული ნორმაა, რომ ბოშა ქალები და გოგონები უკლიან სახლს, ბავშვებს და ამავდროულად, ოჯახისთვის უზრუნველყოფენ შემოსავალს, ძირითადად შემწეობის თხონებით, მარჩიელობითა და წვრილმანი ვაჭრობით. ბოშა ქალთა

1. ნაშრომში აღნიშნული ნებისმიერი მითითება ბოშათა თემზე, ახალგაზრდა ბოშებზე, ბოშა ქალებსა და გოგონებზე ეხება მხოლოდ საქართველოში მცხოვრებ ბოშებს, თუკი ნათლად არ არის გამოყოფილი სხვა შემთხვევა.

(ისევე როგორც მამაკაცების) უმრავლესობას არ აქვს მიღებული განათლება და დისკრიმინაციას განიცდიან². შესაბამისად, ახალგაზრდა ბოშა ქალები და გოგონები ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან: ერთი, იმის გამო, რომ ბოშები არიან და მეორე, იმის გამო, რომ ქალები არიან. ფოკუს ჯგუფის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალთა და გოგონათა მდგომარეობას და მათ წინაშე არსებულ ბარიერებს როგორც თემის შიგნით, ასევე მის გარეთ.

III. პრობლემები

აღნიშნული ქვეთავის მიზანია იმ პრობლემების გაანალიზება, რომლებიც ფოკუს ჯგუფებში წამოჭრილი კომენტარების შედეგად გამოიკვეთა.

A. სამართლებრივი მდგომარეობა

ბოშათა თემში დიდია იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც საიდენტიფიკაციო დოკუმენტები (ID) არ გააჩნიათ, მათ შორის არიან ახალგაზრდებიც. 2012 წელს საქართველოს მთავრობამ დაიწყო ამ პრობლემასთან გამკლავება და შეიქმნა პროგრამა, რომლის მიზანიც იყო ბოშათა თემის წევრების რეგისტრაცია, რათა მათთვის ID ბარათების მომზადება შესაძლებელი გამხდარიყო. თუმცა, ამ კუთხითაც უფრო მეტი ძალისხმევა საჭირო. პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებთან დაკავშირებული პრობლემები ერთნაირად არ ეხება თემს, რადგან მათ შორისაც არიან ჯგუფები, რომლებსაც უფრო მარტივი წვდომა აქვთ ამ ტიპის დოკუმენტებთან. გამონაკლისების მიუხედავად, აღნიშნული პრობლემა მაინც ფართოდაა გავრცელებული. საქართველოს მთავრობის 2014 წლის ანგარიშის მიხედვით, „საქართველოში მცხოვრებ ბოშათა დაახლოებით 80%-ს აქვს პირადობისა და დაბადების მოწმობები“³. თუმცა ეს მონაცემი ნაკლებად სარწმუნოა იმის გათვალისწინებით, რომ რთულია, საქართველოში მცხოვრები ბოშების ზუსტი რაოდენობის დადგენა, რამდენადაც ბევრ მათგანს არ აქვს საიდენტიფიკაციო დოკუმენტები და ეს ფოკუს ჯგუფებში მუშაობის დროსაც დაფიქსირდა⁴.

2. „უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი“, საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებების შეფასება. გაეროს ქალთა/ ევროკავშირის პროექტის ფარგლებში (ინოვაციური მოქმედება გენდერული თანასწორობისთვის), თბილისი, 2014.

3. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, „ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის შეფასების დოკუმენტი“, ივნისი, 2014, გვ. 115.

4. 2014 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად, საქართველოში 604 ბოშა ცხოვრობს, თუმცა, არაოფიციალური წყაროები აღნიშნავენ, რომ მათი რეალური რაოდენობა გაცილებით დიდია. იხ. ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის ცენტრის (CSEM) გამოცემა „საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა 1926-2014“, ოქტომბერი, 2016, გვ. 9.

მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს ჯგუფებში თავად ID ბარათების უქონლობა იშვიათად დასახელდა როგორც ცალკეული გამოწვევა, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების არარსებობის შედეგად გამომდინარე ბარიერები ბევრჯერ აღინიშნა, მათ შორის ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომის ნაკლებობა. მაგალითად, გაჩინაში ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ სოციალურ პროგრამებზე წვდომის სირთულე ნაწილობრივ უკავშირდება სწორედ პირადობის დოკუმენტების არქონას. გარდა ამისა, პირადობის დამადასტურებელი საბუთების ნაკლებობა ბევრ სხვა პრობლემასაც უქმნის ბოშათა თემს, დაწყებული განათლების ხელმისაწვდომობით და დამთავრებული საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შეზღუდულობით.

პირადობის დამადასტურებელ მონაწილასთან დაკავშირებით ფოკუს ჯგუფშიც დაისვა კითხვა, გაცემული პასუხებიდან იკვეთება, რომ რამდენიმე ძირითადი მიზეზი განაპირობებს ამ პრობლემის აქტუალობას: 1) მშობლების პასიურობა დაარეგისტრირონ ახალშობილი; 2) რეგისტრაციის პროცედურების სირთულეები; 3) პროცედურების ხარჯები (რომლებიც არაა ხელმისაწვდომი ბევრი ოჯახისთვის); 4) უკანასკნელ დრომდე ხელისუფლების ნაკლები ჩართულობა (თუმცა ჩართულობა დღესაც არ არის ეფექტური და საკმარისი) 5) ბევრი ბოშა ქალი დღემდე სახლში მშობიარობს.

პირადობის დამადასტურებელი საბუთების არქონა ნაკლებად გავრცელებულია თბილისში ვიდრე რეგიონებში. ამ კუთხით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა რუსთავში მცხოვრებ ბოშათა თემში.

B. განათლებაზე ხელმისაწვდომობა

როგორც უკვე აღინიშნა, ბევრი ბოშა ბავშვი სკოლის გარეთაა დარჩენილი. მიზეზი მრავალგვარია: 1) ბავშვების საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის არარსებობა; 2) მშობლებში სურვილის არქონა; 3) დიდი მანძილის გამო ფიზიკურად სკოლაზე ხელმიუწვდომლობა და 4) ბევრი ოჯახისთვის რეგულარული ფინანსური პრობლემები, რაც ხელს უშლით ტრანსპორტით სარგებლობაში, ტანსაცმლისა თუ სახელმძღვანელოების შეძენაში.

ახალგაზრდა ქალები და გოგონები კიდევ უფრო დიდ ბარიერებს აწყდებიან ვიდრე მათი თანატოლი ბიჭები. გამოწვევების გარეშე ოთხივე ფოკუს ჯგუფში გამოითქვა აზრი, რომ ქალები და გოგონები უნდა უვლიდნენ ბავშვებს, უძღვებოდნენ სახლის საქმეებს, რაც კიდევ ერთი დამატებითი მიზეზია, რის გამოც სკოლაში ვერ დადიან ბოშა გოგონები. რუსთავში დისკუსიის დროს, ერთმა გოგონამ აღნიშნა, რომ ის დიდი სიამოვნებით ივლიდა სკოლაში, რადგან მუდმივად სახლში ყოფნის გამო მას არ ჰყავს მეგობრები და „იშვიათად აქვს სხვებთან კომუნიკაციის საშუალება“. თანატოლებთან ინტერაქციის ნაკლებობის გამო გამოწვეულმა იზოლაციის პრობლემამ შეიძლება მძიმე

ფსიქოლოგიური შედეგები გამოიღოს ახალგაზრდა ბოშა ქალებისა და გოგონებისთვის, რომლებიც ვერ ივითარებენ საზოგადოებაში ჩართულობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

ასევე ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ არ დადიან ბოშა ბავშვები სკოლაში (თუმცა ყველა ფოკუს ჯგუფის შემთხვევაში არ იყო ეს მიზეზი რელევანტური), გულისხმობს, რომ თავად ოჯახები ვერ ხედავენ განათლების ღირებულებას და თვლიან, რომ ბავშვებმა ოჯახის ფინანსურ უზრუნველყოფაში წვლილი უნდა შეიტანონ. მსგავსი დამოკიდებულება თითქმის მისაღები იყო ყველა ფოკუს ჯგუფისათვის, სადაც უმრავლესობა მუშაობას უფრო ღირებულად მიიჩნევდა ვიდრე განათლების მიღებას. ამ დამოკიდებულების და სკოლაში სიარულის ნაკლებობის გამო, ბევრი ბოშა ბავშვი განათლების მინიმალურ დონესაც კი მოკლებულია, მათ ხშირად ქართული ენის ცოდნის პრობლემაც აქვთ და მხოლოდ ქუჩაში და ბაზარში მუშაობის შედეგად ივითარებენ ქართულად საუბრის მინიმალურ უნარებს⁵. მიუხედავად ამისა, ფოკუს ჯგუფში მონაწილეებმა ქართულის სწავლის საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიჩინეს, რადგან მათ ესმით, სახელმწიფო ენის მნიშვნელობა სოციალური ინტეგრაციისა და დასაქმების პერსპექტივისთვის. მათ ასევე ხაზი გაუსვეს ახალგაზრდების მზარდ ინტერესს, რომ შეისწავლონ ქართული ენა.

ფოკუს ჯგუფებში განათლების მიღებაზე უარის თქმა განმეორებით რამდენჯერმე შეფასდა როგორც „ნორმა“. მონაწილეებიდან მხოლოდ ორს ჰქონდა სკოლა დამთავრებული და არცერთს უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტი. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, განათლების ნაკლებობა დაკავშირებული არა თავად ბავშვებში სურვილისა და ინტერესის ნაკლებობასთან, არამედ მშობლებთან, რომლებსაც განათლების ნაცვლად სხვა მოლოდინები აქვთ შვილებისგან. ქობულეთში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სკოლის მიტოვება უფრო მეტად გოგონებშია გავრცელებული, რადგან მათ უმცროსი და-ძმების მოვლა უწევთ და დრო არ რჩებათ.

სკოლის მიტოვება და სწავლის შეწყვეტა ხშირად თანაკლასელების მხრიდან პირდაპირი დისკრიმინაციის, მათი და მასწავლებლების მხრიდან მიუღებლობის შედეგითაა, როგორც ეს აღინიშნა ფოკუს ჯგუფებში. ეს პრობლემა განსაკუთრებით რელევანტურია კახეთის რეგიონში, ლენინოვკაში (დედოფლისწყარო). დედოფლისწყაროში დაფიქსირდა, რომ ეთნიკურად არაბოშა მოსახლეობის მხრიდან დისკრიმინაციის საკითხი ერთ-ერთი ძირითადი ბარიერია რეგიონში ბოშათა ინტეგრაციისთვის.

5. აღნიშნული კვლევისთვის გამოკითხული ბოშათა თემის წარმომადგენლები საუბრობენ რუსულად და ბოშური ენის სხვადასხვა დიალექტზე (ვლახი, კრიმი და პლაშუნო) და მხოლოდ მცირე ნაწილმა იცის ქართული - ძირითადად მათ, ვინც მუშაობენ ბაზრობაზე და ვაჭრობა უწევთ; ისინიც მხოლოდ ქართული ენის მინიმალურ კომპეტენციას აკმაყოფილებენ.

განათლებაზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით პრობლემური საკითხია დედოფლისწყაროს ახალგაზრდებისთვის, რომლებმაც დამაბრკოლებელ ბარიერებს შორის აღნიშნეს სიღარიბე და რეგიონში მცხოვრებ ბოშათა დაბალი ფინანსური შემოსავალი. ერთ-ერთმა გოგონამ აღნიშნა, რომ „მატერიალური პირობების გამო ბავშვების უმრავლესობა ვერ ახერხებს სკოლაში სიარულს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ოჯახებს ამის დიდი სურვილი აქვთ“. შესაბამისად, ეს უკანასკნელი მოსაზრება სრულიად განსხვავებულ პერსპექტივას გვთავაზობს განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ საკითხზე და ზემოთ აღწერილ ზოგად ტენდენციებს არ ემთხვევა. იმავე ფოკუს ჯგუფში აღინიშნა, რომ განათლებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ბარიერი ექმნებათ სოფლებში დასახლებულ ოჯახებს: სკოლები მათი საცხოვრებლისგან საკმაოდ მოშორებითაა და ხშირ შემთხვევაში, ოჯახებს ტრანსპორტის უზრუნველსაყოფად ფინანსური შესაძლებლობები არ აქვთ. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს „უმცირესობათა საკითხების ევროპულმა ცენტრმა“ (ECMI) კახეთის ერთ-ერთ სოფელში ცნობიერების ამაღლების მიზნით კამპანია ჩაატარა, რომლის ფარგლებშიც ბოშა მშობლებს ესაუბრნენ განათლების სარგებელზე და ადვოკატირება გაუწიეს ბოშა ბავშვებისთვის სატრანსპორტო სერვისებზე ხელმისაწვდომობას, რათა მათ სკოლაში გადაადგილება გაადვილებოდათ⁶. თუმცა, კახეთში მცხოვრები ბოშა ახალგაზრდების თანახმად, პრობლემა დღემდე არსებობს და ბევრმა აღნიშნა, რომ უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო, რათა აღმოიფხვრას სოფლებში მცხოვრები ბოშა ბავშვებისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერები. „უმცირესობების საკითხების ევროპული ცენტრის“ მიერ ჩატარებული კამპანია წარმატებული იყო და მსგავსი აქტივობების გაგრძელება აუცილებელია.

ქობულეთში ფოკუს ჯგუფში მონაწილე ახალგაზრდა ბიჭმა განაცხადა, რომ მშობლების დამოკიდებულება სკოლის მიმართ ნელ-ნელა იცვლება და „დღეისათვის უკვე გაზრდილია იმ მშობლების რაოდენობა, რომლებსაც უნდათ, რომ მათი შვილები სასკოლო განათლებას იღებდნენ“. ეს პოზიტიური ცვლილება ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევის შედეგია, რომლებიც ცნობიერების ამაღლების კუთხით აქტიურად მუშაობდნენ ბოშებთან.

მიუხედავად ამისა, ყველა ფოკუს ჯგუფის მონაწილე თანხმდებოდა, რომ დღემდე ახალგაზრდა ბოშების უმრავლესობა ან სკოლის გარეთაა დარჩენილი, ან ნაადრევად წყვეტს სასკოლო განათლების მიღებას. რთულია, დასახელდეს ზუსტი რიცხვი იმ ბავშვებისა, რომლებიც გამოირიცხნენ სკოლიდან, რადგან ამის შესაბამისი არც სტატისტიკა და არც მონიტორინგის სისტემა არსებობს სკოლებში. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებიდან 26-მა განაცხადა, რომ მათ სკოლაში სიარული მე-10 კლასამდე შეწყვიტეს, რაც უმრავლესობისთვის დამახასიათებელი შემთხვევაა. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ დამა-

6. გიორგი სორდია, გვ. 11 და გვ. 14.

ტებითი ძალისხმევა საჭირო განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით, რადგან სწორედ ამ ფაქტორს შეუძლია, იქცეს ძლიერ მექანიზმად ბოშათა ინტეგრაციის მიმართულებით. სხვა თანატოლებთან ურთიერთობა და კომუნიკაცია დადებითად იმოქმედებს ზოგადად ბოშათა თემზე და საზოგადოებაზე. დედოფლისწყაროში რამდენჯერმე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სოციალური ჩართულობისთვის განათლებას გადაწყვეტი როლი აქვს და „მნიშვნელოვანია ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის“.

C. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

ფოკუს ჯგუფში მონაწილე ახალგაზრდა ბოშებისთვის გენდერული თანასწორობა სრულიად უცხო კონცეფციაა. არავის სურდა თემში ქალთა და მამაკაცთა შორის არსებულ უთანასწორობაზე საუბარი და ფოკუს ჯგუფში ამ საკითხის განხილვა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. მონაწილეებისთვის უთანასწორობა გაუგებარი ტერმინი იყო მიუხედავად იმისა, რომ ბოშა ქალები ოჯახში შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენენ. ისინი მუშაობენ (ძირითადად შემწეობას ითხოვენ), ამის პარალელურად უვლიან შვილებს და უძღვებიან საოჯახო საქმეებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გენდერული თანასწორობის კონცეფცია უცხოა თემის წარმომადგენლებისთვის, მათ შორის მაინც მოიძებნებიან ისეთები, რომლებიც არსებულ უთანასწორობას ამჩნევენ. მაგალითად, ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ „ქალები თავიანთი ცხოვრების შესახებ არ იღებენ გადაწყვეტილებებს, დაქორწინებამდე მათი მამები ან უფროსი ძმები არიან გადაწყვეტილების მიმღებნი“.

როგორც უკვე აღინიშნა, ადრეულ ასაკში იზოლაციას საკმაოდ სერიოზული შედეგები შეიძლება მოყვეს, რაც კიდევ უფრო მძიმედაა გამოხატული ბოშა გოგონების შემთხვევაში. ბოშათა თემში ქალის როლის მიმართ დამკვიდრებული შეხედულების გამო, გოგონები ხშირად ადრეული ქორწინებისა და ორსულობის მსხვერპლნი ხდებიან, რაც უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობასა და ფიზიკურ მდგომარეობაზე. ქვემოთ მოცემულია, ის სამი ძირითადი პრობლემა, რომლებიც გენდერულ თანასწორობასთან (ან უფრო მეტად მის ნაკლებობასთან) დაკავშირებულ ქალთა ფიზიკური ჯანმრთელობის საკითხებს ეხება:

- **ადრეული და იძულებითი ქორწინება**

დედოფლისწყაროში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულთა შორის, რომლებიც მხოლოდ ქალები იყვნენ, ქორწინების საშუალო ასაკი 13-დან 15 წლამდე მერყეობს. როგორც აღმოჩნდა, ეს ასაკი ზოგადად თემში მიღებული „ნორმა“ და უფრო მეტიც, 18 წლის ზევით ქორწინება წარმოადგენს „იშვიათობას“. იმავე ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის განცხადება კარგი

ილუსტრირებაა იმისა, თუ რამდენად უცხოა არა-ადრეულ ასაკში ქორწინება: „ჩემი და 21 წლის არის და ვფიქრობ, მისთვის უკვე გვიანია ქორწინება“. რუსთავეში, თემის ლიდერმა, რომელსაც „ბარონს“ უწოდებენ, განაცხადა, რომ ბოშათა თემში 13-14 წლის გოგონათა დაქორწინება ჩვეულებრივი მოვლენაა და როგორც წესი, ისინი მათზე უფროს მამაკაცებზე ქორწინდებიან. თუმცა, ასევე აღინიშნა, რომ ეს პრაქტიკა ნელ-ნელა კარგავს თავის ძალას, რადგან მათთვის უკვე ცნობილია, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება კანონით ისჯება. საქართველოში, სამოქალაქო კოდექსის 1108-ე თავის თანახმად, ქორწინებისთვის დასაშვები ასაკი 18 წელია, თუმცა 16 წლის ასაკშიც შესაძლებელია, მშობლების თანხმობის ან სასამართლოდან ნებართვის არსებობის შემთხვევაში⁷.

ინტერვიუების პარალელურად, ადრეული ქორწინების შესახებ კითხვები ფოკუს ჯგუფებშიც დაისვა. მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მსგავსი „ფენომენის“ შესახებ არაფერი იციან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ საკითხის ირგვლივ ორი ძირითადი დისკურსი შეინიშნებოდა, რომელიც მსგავსი აღმოჩნდა სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული ფოკუს ჯგუფებისთვის. მამაკაცი მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ ეს „კულტურული“ საკითხია და მათ არაფრის გაკეთება შეუძლიათ მის შესაცვლელად, მაშინ როცა ქალი მონაწილეები თანხმდებოდნენ (როგორც მინიმუმ ფორმალურად), რომ მათ დაქორწინება სურთ და ადრეული ასაკში ოჯახის შექმნა მათი არჩევანია. ეს მტკიცე განცხადებები მიგვანიშნებს ან ადრეული ქორწინების საფრთხეების შესახებ ინფორმაციის უქონლობაზე ან თემის წარმომადგენლების შიშზე, რომ დაუპირისპირდნენ ოჯახსა და ტრადიციებს. ფოკუს ჯგუფში გამოთქმულ აზრებს ღიად არავინ დაუპირისპირდა, მიუხედავად იმისა, რომ მონაწილე გოგონები მათი თანატოლი ბიჭების წინ საუბრისას არაკომფორტულად თავს არ გრძნობდნენ. ხშირად იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ გოგონები ამბობდნენ იმას, რაც მათი საჭაროდ გამოსვლისას იყო მისაღები და რთული აღმოჩნდა მათი აქტიური და გულწრფელი ჩართულობის უზრუნველყოფა.

ადრეულ ასაკში ქორწინება ერთ-ერთი გავრცელებული მიზეზია გოგონებში, რის გამოც ისინი უარს ამბობენ სკოლაზე ან ადრეულად წყვეტენ სწავლას, რაც, თავის მხრივ, ბოშა ქალებს ოჯახური ძალადობის, სოციალური იზოლაციისა და ეკონომიკური დამოუკიდებულების ნაკლებობის მიმართ კიდევ უფრო მონყვლადს ხდის. ქალთა მიმართ უთანასწორო დამოკიდებულება გარკვეულ დაბრკოლებებს ქმნის ბოშა მამაკაცების მიმართაც, რადგან ქალები ვერ იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს, გახდნენ ბოშათა თემის განვითარებისა და კეთილდღეობის ხელშემწყობი აქტორები საქართველოში.

7. ანდრეა ფეინჰოფი, „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები საქართველოში - ორმაგი წნეხის პირისპირა?“ ECMI სამუშაო დოკუმენტი, #74 თებერვალი, გვ. 8.

- **ოჯახური ძალადობა**

ადრეული ქორწინებებისა და განათლების ნაკლებობის (რაც დაკავშირებულია ფინანსური დამოუკიდებლობის ნაკლებობასთან) შედეგად, ახალგაზრდა ბოშა ქალებისთვის და გოგონებისთვის თითქმის შეუძლებელია თავი დააღწიონ ოჯახურ ძალადობას, რადგან მათ სახლში დარჩენისა და ძალადობის ატანის გარდა ალტერნატივა არ გააჩნიათ. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისა და გოგონებისთვის არ არსებობს თავშესაფარი და არც სკოლაში ხდება მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება ოჯახური ძალადობის შესახებ, რაც დაეხმარებოდა მათ ძალადობის ადრეული ნიშნების შემჩნევასა და მის თავიდან აცილებაში.

დედოფლისწყაროში ჩატარებული ანონიმური კითხვარის მეშვეობით გამოვლინდა, რომ ქალთა მიმართ ოჯახური ძალადობა და მათი შრომითი ექსპლუატაცია გამოკითხულთათვის ერთ-ერთი მთავარი ნუხილია. კითხვარის მიხედვით, ასევე გამოიკვეთა ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: ქუჩაში შემწეობის ძიება, ადრეული ქორწინებები, ბავშვების მოვლა და საოჯახო საქმეების გაძღოლა. დედოფლისწყაროში 23 ბოშა გოგონადან, რომლებმაც კითხვარი შეავსეს, 21-მა აღნიშნა, რომ ძალადობის მსხვერპლი ყოფილა, რისი მიზეზიც სახლში არასაკმარისი თანხის მიტანა და ქმრის მიერ ღალატის შესახებ უკმაყოფილების გამოხატვა გამხდარა. თუმცა, ოჯახური ძალადობისას მხოლოდ ქმრები არ გვევლინებიან მოძალადეებად. ბევრმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ისინი საკუთარი ოჯახის წევრების (ძირითადად მშობლების) მხრიდანაც ყოფილან ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლნი.

ამის მიუხედავად, როდესაც ფოკუს ჯგუფებში დაისვა ოჯახური ძალადობის შესახებ კითხვები, ყველა რეგიონში ერთსულოვანი პასუხები გამოითქვა: „ჩვენს თემში მსგავსი პრობლემები არ გვაქვს“. ფოკუს ჯგუფისა და ანონიმური კითხვარის ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბოშათა თემში ოჯახური ძალადობის შესახებ ხმამაღლა და ღიად განხილვის შესაძლებლობები ნაკლებადაა, მით უმეტეს, როდესაც საუბარს მათთვის უცხო პირებიც ესწრებიან.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ადრეულ ასაკშივე დაიწყოს ოჯახური ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, რათა ახალგაზრდა ბოშებმა ძალადობის ნიშნები დასაწყისშივე ამოიცნონ და ამრიგად გავაძლიეროთ ახალგაზრდები, რათა თავად შეძლონ თავიანთ თემში პირობების გაუმჯობესება საქართველოში.

• მშობიარობა

ადრეულ ქორწინებას ხშირად თან ახლავს ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: ბუნდოვანი წარმოდგენა რეპროდუქციულ უფლებათა შესახებ, ახალგაზრდა ქალებისა და გოგონებისთვის შესაძლებლობების ნაკლებობა თვითონ განსაზღვრონ, უნდათ თუ არა ბავშვების ყოლა და რამდენი შვილის გაჩენა სურთ. მონაწილეები თანხმდებოდნენ, რომ, როგორც წესი, ბოშა ოჯახებს ბევრი შვილი ჰყავთ (დაახლოებით 4-6), რაც ასევე გულისხმობს ეკონომიკური სირთულეების გამწვავებას და შედეგად, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ბევრი ბოშა ქალი (მათ შორის ახალგაზრდები) კვლავ სახლში მშობიარობს და ამის მიზეზი სხვადასხვაა: ID ბარათების ნაკლებობა (რის გამოც სამედიცინო დაწესებულებები უარს ამბობენ პაციენტის მიღებაზე), კერძო მომსახურების მისაღებად უსახსრობა ან უბრალოდ ცნობიერების ნაკლებობა შესაბამისი დაწესებულების შესახებ. ამ პრობლემებიდან გამომდინარე, სახლში მშობიარობა ხშირ შემთხვევაში არა არჩევანი, არამედ ერთადერთი გამოსავალია ბევრისთვის. რუსთავეში ჩატარებული ფოკუს ჯგუფის დროს აღინიშნა, რომ „ქალებს, რომლებსაც აქვთ სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებზე წვდომა, სამედიცინო დაწესებულებებში მშობიარობენ“. სახლში მშობიარობას ხშირად როგორც დედის, ისე ახალშობილის ჯანმრთელობისთვის საშიში გართულებები ახლავს თავს, რაც საავადმყოფოში მშობიარობის შემთხვევაში ექიმების დახმარებით მარტივად შეიძლება იყოს თავიდან აცილებული. მშობიარობისთვის სამედიცინო მომსახურების მიღების ხელმისაწვდომობის დროს პირადობის დამადასტურებელი ბარათის არქონა ახალგაზრდა ბოშა ქალებისა და გოგონებისთვის კიდევ ერთ დამატებით პრობლემად გამოიკვეთა. ბოშა ქალები დისკრიმინაციის შემთხვევებზეც საუბრობენ, როდესაც, მათივე თქმით, საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილებაში მათ უარი უთხრეს მომსახურებაზე და შესაბამისად, სახლში მშობიარობის გარდა სხვა არჩევანი არ ჰქონდათ⁸. მსგავსი შემთხვევები გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბოშა დედებისა და ბავშვების ჯანმრთელობაზე, არამედ იწვევს ბოშა ბავშვების რეგისტრაციის ნაკლებობას, რაც შემდგომში მათ საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობებსაც ართმევს. თუმცა, როდესაც ფოკუს ჯგუფში ზემოთ აღნიშნულ დისკრიმინაციაზე დაისვა შეკითხვა, ყველა მონაწილემ განაცხადა, რომ მსგავსი შემთხვევა მათ ოჯახში არ მომხდარა.

8. „უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი“, საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებების შეფასება. გაეროს ქალთა/ ევროკავშირის პროექტის ფარგლებში (ინოვაციური მოქმედება გენდერული თანასწორობისთვის), თბილისი, 2014.

D. საზოგადოებრივი ცხოვრება და პოლიტიკური მონაწილეობა

• კულტურა და ტრადიციები

საქართველოში მცხოვრებ ბოშათა ტრადიციები უარყოფითად აღიქმება. უმრავლესობა მათ ხედავს როგორც გაუგებარ და „ჩამორჩენილ“ ჩვეულებებს, საზოგადოებრივ სფეროში ბოშათა კულტურის ნეგატიური პორტრეტი იქმნება, რასაც შემდგომ დიდი გავლენა აქვს ბოშათა ყოველდღიურ ცხოვრებაზე. საქართველოს რეგიონებში ჩატარებულ ყველა ფოკუს ჯგუფში აღინიშნა, რომ კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნება ახალგაზრდა ბოშებისთვის პრიორიტეტია. ენა და რელიგია კი გამოიყო როგორც მათი კულტურის მთავარი საყრდენები.

მონაწილეები კარგად ფლობენ რუსულ და ბოშურ ენებს (კრიმი, ვლახი, პლაშუნო), ზოგიერთმა იცის ქართულიც. მათივე განცხადებით, ქართული ენის ცოდნა უფრო და უფრო გავრცელებული და მისაღები ნორმა ხდება. მიუხედავად ამისა, მონაწილეებს შორის სახელმწიფო ენის ცოდნის ნაკლებობის გამო ფოკუს ჯგუფების ჩატარება ქართულ ენაზე ვერ მოხერხდა. გაჩიანში ამ საკითხზე საუბრისას ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ „ქართული ენის ცოდნა უმნიშვნელოვანესია ინტეგრაციისთვის“ და სწორედ ამიტომ მისი შესწავლისადმი ინტერესი იზრდება.

ბოშური დიალექტები, რომლებზეც საქართველოში მცხოვრები ბოშები საუბრობენ, იმდენად განსხვავებულია ერთმანეთისგან, რომ მათაც კი უჭირთ თემის შიგნით კომუნიკაცია. გაჩიანში შეხვედრისას, მონაწილეები, რომელთათვისაც მშობლიური ენა შესაბამისად ვლახი და პლაშუნო იყო, ერთმანეთს რუსულად ესაუბრებოდნენ, რადგან აღნიშნული დიალექტები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულია. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები იყვნენ, მათ შორის მართლმადიდებლები, მუსლიმები და ორმოცდაათიანელები. ეს მონაცემები საქართველოში მცხოვრები ბოშათემის კულტურული მრავალფეროვნების კიდევ ერთი მაგალითია, რომელიც ხშირად სტერეოტიპებისა და გამარტივების მსხვერპლია, მაშინ როცა ხელმწიფობასა და დაცვას უნდა იმსახურებდეს.

ლენინოვკაში შეხვედრის დროს, მონაწილემ აღნიშნა: „სახელმწიფოს მხრიდან ჩვენს ტრადიციებსა და კულტურაზე ზრუნვა აუცილებელია, სხვა შემთხვევაში ჩვენი ასიმილაცია მოხდება და ბოშათა თემი საერთოდ გაქრება“. სახელმწიფოს მხრიდან ამ პროცესში ჩარევა უმნიშვნელოვანესია, რადგან ეს ხელს შეუწყობს ქართული საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის გრძობის გაზრდას, რაც, საბოლოოდ, ბოშათა ინტეგრაციას შეუწყობს ხელს.

• დასაქმება და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

ახალგაზრდა ბოშებისთვის საქართველოში არსებული დასაქმების შესაძლებლობები ძალიან მწირია. მათთვის დასაქმების სიძნელეები ბევრი ფაქტორითაა განპირობებული. განათლების ნაკლებობა (ან განათლების დაბალი დონე) მთავარი მიზეზია, თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, საზოგადოებაში ბოშების მიმართ არსებული ნეგატიური სტერეოტიპები, რომლებიც თემის წარმომადგენლებისთვის დასაქმების შესაძლებლობებზე ასევე დიდ გავლენას ახდენენ.

მონაწილეთა ძალიან დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ მუშაობა ადრეული ასაკიდანვე დაიწყეს, რადგან ხშირ შემთხვევაში მათი ოჯახებისთვის სახლში ფულის მიტანა ყველაზე პრიორიტეტულია. თუმცა, ფოკუს ჯგუფებში ბევრმა ახალგაზრდამ ნუხილი გამოთქვა, რომ ქართული საზოგადოების წარმოდგენით ყველა ბოშა აუცილებლად შემწეობას ითხოვს ქუჩაში და ვერ წარმოუდგენიათ, რომ ისინი მუშაობდნენ. მათ ეს დაშვება უარყვეს და აღნიშნეს, რომ ყველა ბოშაზე მსგავსი განზოგადება არარელევანტურია. გაჩიანში ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა: „ხალხი ფიქრობს, რომ ბოშები ქუჩის მათხოვრები არიან! - ეს სწორი არ არის, რადგან უმრავლეს შემთხვევაში ჩვენ ფინანსურ შემოსავალს ვიღებთ ვაჭრობით, მეურნეობით და მარჩიელობით“.

განათლების დაბალი დონის გამო, ბოშებისთვის დასაქმება რთულია. ამის გამო, ბევრი ბოშა, მაგალითად, გაჩიანსა და დედოფლისწყაროს სხვა სოფლებში, სასოფლო და სამომხმარებლო მეურნეობითა დაკავებული. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებიდან მხოლოდ ერთმა დაადასტურა, რომ მის შემოსავლის წყაროს ქუჩაში შემწეობის თხოვნა წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, თბილისში ჩატარებული შეხვედრისას აღინიშნა, რომ ძირითადად მცირეწლოვანი ბავშვები ითხოვენ შემწეობას ქუჩაში, რადგან ამ ასაკში მათ მეტი თანაგრძნობის გამოწვევა შეუძლიათ ქართულ საზოგადოებაში.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ყველაზე დიდ პრობლემად უმუშევრობა დაასახელეს, რასაც ისინი ზოგადად ქვეყანაში არსებულ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირებენ. თუმცა ასევე აღნიშნეს, რომ განათლების ნაკლებობისა და დისკრიმინაციის გამო მათი დასაქმების შესაძლებლობები კიდევ უფრო მცირეა.

ბოშათა დასაქმებისა და სოციალური ინტეგრაციის პრობლემა მხოლოდ განათლების ნაკლებობით არაა გამოწვეული, აქ აუცილებელია, აღინიშნოს რასობრივი დისკრიმინაციის როლი, რომელიც ასევე ფართოდაა გავრცელებული. ქობულეთში ერთ-ერთმა მამაკაცმა მონაწილემ განაცხადა: „ბევრ ადამიანს ეშინია ჩვენი, რადგან სტერეოტიპული წარმოდგენები აქვთ“. ბოშათა შესახებ უარყოფითი სტერეოტიპები, რომლებიც ნაწილობრივ გამოწვეულია ბოშათა კულტურების შესახებ ცოდნის ნაკლებობითა და მედიის მიერ შექ-

მნილი ხატებით, საქართველოში ბოშათა ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენენ. ლენინოვკაში შეხვედრის დროს, ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ სკოლის პერიოდში მის თანაკლასელებსა და მათ მშობლებს უარყოფითი შეხედულებები ჰქონდათ ბოშებზე და ამ ქსენოფობიურმა დამოკიდებულებებმა მას ბევრი პრობლემა შეუქმნეს. აუცილებელია, რომ ტოლერანტობის ხელშეწყობა ადრეული ასაკიდანვე დაიწყოს, რათა შემდგომში ბოშათა იზოლაცია არ მოხდეს. დედოფლისწყაროში აღინიშნა, რომ დასაქმების პრობლემების შედეგად ბევრ ბოშას ქუჩაში შემწეობის თხოვნა ან ზოგიერთ შემთხვევაში მარჩიელობითა და ჯიბის ქურდობით თავის რჩენა უნევს.

გაჩიანში, დედოფლისწყაროსა და ქობულეთში მონაწილეებმა განაცხადეს, რომ დასაქმების პრობლემა ბოშათა ცუდი საცხოვრებელი პირობების ძირითადი მიზეზია (პირველ ორ დასახლებაში მძიმეა მდგომარეობა). დედოფლისწყაროში მონაწილეები უჩივიან ელექტრომომარაგების ნაკლებობასა და საირიგაციო სისტემის გაუმართაობას, რაც ხანდახან ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც იწვევს.

• პოლიტიკური მონაწილეობა

მძიმე სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ახალგაზრდა ბოშები პოლიტიკურად აქტიურები არ არიან. ისინი საზოგადოებისგან იზოლირებულად ცხოვრობენ, მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობების ფარგლებში აქვთ ძალიან მცირე კონტაქტები, რის გამოც მათი პოლიტიკური მონაწილეობა უკიდურესად რთულია. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ნაკლებობა, ქართული ენის ცოდნის დაბალი დონე, უკიდურესი სიღარიბე და ნეგატიური სტერეოტიპები - განაპირობებს ბოშებისთვის პოლიტიკური მონაწილეობის ნაკლებ შესაძლებლობებს, რაც კიდევ უფრო მცირდება საზოგადოებისგან გაუცხოების გამო.

ფოკუს ჯგუფებში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ისინი არჩევნების დროსაც კი არ არიან პოლიტიკურად აქტიურები. რუსთავეში ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა: „ჩვენ ვიცით, ვინ არიან მთავარი პოლიტიკოსები და გვალელებს კიდევ, რადგან საქართველო ჩვენი სამშობლოა. თუმცა ID ბარათების არქონის გამო, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ შორიდან მივყვეთ მოვლენებს“. თუმცა, არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით გაჩიანში სრულიად განსხვავებული მოსაზრება დაფიქსირდა: „მე არ ვმონაწილეობ და არ ვაძლევ ხმას არჩევნებში, რადგან მაინც არავინ ზრუნავს ჩვენზე. შესაბამისად, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება ხელისუფლებაში“. აღსანიშნავია, რომ იმავე ფოკუს ჯგუფში, გაჩიანში, ერთ-ერთი მონაწილე პოლიტიკურად ძალიან აქტიურია, ის დიდი ენთუზიაზმით არის ჩართული ერთ-ერთი მთავარი პარტიის საქმიანობაშიც, რაც მას თემის უმრავლესობისგან გამოარჩევს.

მისასალმებელია, ახალგაზრდა ბოშა ლიდერის არსებობა, მაგრამ დამატებითი ძალისხმევა აუცილებელია, რათა მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს პოლიტიკურ პროცესებში. მათ უნდა გაიგონ, თუ როგორ შეიძლება საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით გარკვეული ცვლილებების განხორციელება. საზოგადოებისა და ხელისუფლების მიმართ უნდობლობა კვლავ ფართოდაა გავრცელებული. თბილისში ერთ-ერთმა მონაწილემ სამოქალაქო საზოგადოების მიმართაც გამოთქვა უკმაყოფილება: „ჩვენ არ ვენდობით არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამთავრობო ინსტიტუტებს, რადგან ისინი მხოლოდ მაშინ ჩამოდიან და გვისმენენ, როდესაც ეს მათ სჭირდებათ და შედეგად, ჩვენ არანაირ პროგრესს არ ვიღებთ“.

IV. დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მცხოვრებ ბოშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ნაბიჯები გადაიდგა, ამ კუთხით უფრო მეტი ძალისხმევა და მოქმედებაა საჭირო. გასულ წლებში მთავრობამ მეტი ყურადღება მიაქცია ბოშათა თემს და მათ მიმართ ცნობიერების დონე გარკვეულწილად ამაღლდა. მისასალმებელია ის გაუმჯობესებაც, რაც რეგისტრაციის არმქონე პირებისთვის ID ბარათების გადაცემის კუთხით ხორციელდება, თუმცა ეს არ უნდა იყოს ერთადერთი მიზანი.

ფოკუს ჯგუფებში გამოჩნდა, რომ სოფელში მცხოვრებ ბოშათა მდგომარეობა უფრო მძიმეა ვიდრე ქალაქში მაცხოვრებლების, რომლებსაც დასაქმებისა და განათლების მიღების მეტი შესაძლებლობები აქვთ. კერძოდ, თბილისში მცხოვრები ბოშების მდგომარეობა უკეთესია, რაც ურბანულ და სოფლის ტიპის დასახლებებს შორის არსებულ სხვაობას ნათლად გვიჩვენებს.

სპეციფიკური პრობლემები გამოიკვეთა სხვადასხვა დასახლებაში, თუმცა, გამოჩნდა, რომ არსებობს გამოწვევებიც, რომლებიც საერთოა და თანაბრადაა გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ბოშებისთვის. აღნიშნული დოკუმენტის მიზანი იყო, გამოეკვლია არა მხოლოდ ახალგაზრდა ბოშების წინაშე მდგარი პრობლემები, არამედ მათი მთავარი წუხილიც (რაც ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვეოდა). მათ შორის გამოიყო შემდეგი: ცხოვრების ცუდი პირობები, განათლების ნაკლებობა (სკოლის ნაადრევი შეწყვეტა) და საკუთარი იდენტობის დაკარგვის შიში.

დედოფლისწყაროში ახალგაზრდების მთავარ წუხილს წარმოადგენდა ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები, სიღარიბე და მისგან გამოწვეული შედეგები, მათ შორის განათლებაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, ტრადიციებისა და იდენტობის დაკარგვის შიში.

გაჩიანში მონაწილეებმა მთავარ გამოწვევად დაასახელეს შემდეგი: ცხოვ-

რების ცუდი პირობები, უმუშევრობა, სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციისა და ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, სოციალური ინტეგრაციის ხელისშემშლელი ბარიერები.

ქობულეთში უმუშევრობასთან ერთად პრობლემად გამოიყო ჯანმრთელობის საკითხები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ადრეულ ქორწინებასთან და ოჯახურ ძალადობასთანაა დაკავშირებული. ამავე ფოკუს ჯგუფში გამოიკვეთა, რომ ადრეული ქორწინება სკოლაში სწავლის შეწყვეტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

რაც შეეხება თბილისს, დედაქალაქში ბოშათა თემი შედარებით უკეთაა ინტეგრირებული, ძირითადად უფრო მსხვილი სავაჭრო შესაძლებლობების გამო. თუმცა, ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები დედაქალაქშიც პრობლემური საკითხია.

ახალგაზრდა ბოშები თემის მომავალს წარმოადგენენ. ამდენად, მათ შეუძლიათ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ და ცვლილებების შემოქმედები გახდნენ. მიზანმიმართული მოქმედებაა საჭირო, საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ განათლების მიღება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში (მათ შორის პოლიტიკურში) მონაწილეობა, თემისთვის პრიორიტეტული გახდეს, რაც სამომავლოდ საქართველოში მცხოვრები ბოშების პრობლემების გრძელვადიან და მდგრად გადაწყვეტას შეუწყობს ხელს.

ახალგაზრდა ბოშები ვარგად აცნობიერებენ არსებულ პრობლემებს და თუ კი ამის შესაძლებლობა მიეცათ, მზად არიან, მათ მოგვარებაში წვლილი შეიტანონ. ქობულეთში ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა: „ჩვენ ვართ ხალხი, ჩვენ ვართ საქართველოს მოქალაქეები და თუ კი დაგვეხმარებით, ჩვენ მზად ვართ, საერთო განვითარებისთვის ვიზრუნოთ“.

V. რეკომენდაციები

A. სამართლებრივი მდგომარეობა

- შეეშავდეს სტრატეგია, რომელიც მოიცავს საქართველოში მცხოვრები ბოშებისთვის პრობლემური საკითხების მოგვარებას და რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს ახალგაზრდებზე. სტრატეგია შევიდეს ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა და მის სამოქმედო გეგმაში;
- გაგრძელდეს ბოშებისთვის პირადობის მონუმენტების გაცემა, ახალი შემთხვევების განხილვა მოხდეს არასამთავრობო სექტორის, UNHCR-ისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით;

- რეგისტრაციასთან დაკავშირებული ბარიერები მოიხსნას, მათ შორის პირადობის მონუმობის აღებისთვის საჭირო საფასურის მოხსნა, რათა დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახებმა შეძლონ რეგისტრირება;
- ბავშვთა რეგისტრირების პრიორიტეტულად განხილვა, რათა მათ სასკოლო განათლების მიღება შეძლონ. მაგალითად, დოკუმენტების არმქონე ბავშვების სკოლაში დაშვება და შემდეგ სკოლებთან თანამშრომლობით მათი საქმეების განხილვა.

B. განათლებაზე ხელმისაწვდომობა

- მშობლებთან განათლების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება, როგორც პროფესიული, ისე უმაღლესი განათლების შესახებ;
- ნარმატიული პრაქტიკის გაზიარება, მაგალითად, ქობულეთში არასამთავრობო ორგანიზაციის მუშაობის შედეგად ბევრმა ბავშვმა დაიწყო რეგულარულად სკოლაში სიარული;
- სკოლაში სწავლისთვის საჭირო თანხების შემცირება, კერძოდ, სახელმძღვანელოების უფასო დარიგება ან მოსწავლეთათვის უფასო ტრანსპორტის უზრუნველყოფა (განსაკუთრებით სოფლებსა და ცენტრისგან მოშორებულ დასახლებებში);
- მასწავლებლებთან მუშაობა, რათა ბოშა ბავშვების/ახალგაზრდების მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევების გამოაშკარავება მოხდეს. მოსწავლეებში ინტერკულტურული ტოლერანტობის ხელშეწყობა;
- ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც გამოაშკარავებს ბოშა მოსწავლეების მხრიდან სკოლის მიტოვების შემთხვევებს;
- სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ბოშა და სხვა ეთნიკური წარმომავლობის ბავშვებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა, რაც გააუმჯობესებს მშობლებს შორის კონტაქტსა და ინტეგრაციას.

C. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

- სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანა, რათა მშობლების თანხმობის მიუხედავად, არ მოხდეს არასრულწლოვანთა ადრეული ქორწინება;
- სკოლასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს (ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ) შორის შეტყობინების მექანიზმის შემუშავება, რომელიც გამოაშკარავებს ადრეული ქორწინების გამო სკოლის მიტოვების პოტენციურ შემთხვევებს;

- მშობლებსა და ზოგადად თემში ცნობიერების ამაღლება ადრეული ქორწინების რისკებსა და ადრეული ფეხმძიმობის შესახებ (არა მხოლოდ კეთილდღეობის, არამედ ჯანმრთელობის კუთხითაც);
- ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცებისთვის სექსუალური განათლების კურსის ჩამოყალიბება, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადრეულ ასაკში ფეხმძიმობის რისკებს;
- ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ბოშა ქალებისთვის თავშესაფრის უზრუნველყოფა, სადაც მათ ფსიქოლოგიური კონსულტაციაც ჩაუტარდება.

D. საზოგადოებრივი ცხოვრება და პოლიტიკური მონაწილეობა

- ბოშა მოსახლეობის ინტეგრაციისთვის ადგილობრივი სტრატეგიების შემუშავება და მისი მომზადების პროცესში ბოშების ჩართვა, რათა უკეთ გამოაშკარავდეს მათი პრობლემები და ბარიერები;
- არჩევნების მნიშვნელობისა და პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ ახალგაზრდა ბოშებისთვის ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება;
- ახალგაზრდა ბოშებისთვის საკომუნიკაციო ქსელის ხელშეწყობა, მათ შორის სოციალური მედიის მეშვეობით, რათა მათ შეძლონ ერთმანეთთან კომუნიკაცია და წარმატებული გამოცდილების გაზიარება.

სხვა:

- სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ბოშა ოჯახების იდენტიფიცირება, სოციალური დახმარების მიღების მიზნით, როგორც დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის ასევე მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის.

VI. ბიბლიოგრაფია

- David Szakonyi (2008), “No Way Out: An Assessment of the Romani Community in Georgia”, European Centre for Minority Issues (ECMI), Working Paper 39, February 2008
- E. Marushiakova and V. Popov (2014), “The Gypsies (Dom – Lom – Rom) in Georgia”, Proceedings of Annual Meeting of the Gypsy Lore Society and Conference on Romani Studies, Bratislava, September 11-13, 2014
- European Centre for Minority Issues, ‘Needs Assessment of Ethnic Minority Women in Georgia’ commissioned study for UN Women/EU Project (Innovative Action for Gender Equality), Tbilisi, 2014
- Framework Convention for the Protection of National Minorities, ‘2nd Opinion on Georgia of the Advisory Committee for the Framework Convention for the Protection of National Minorities’ of the Council of Europe’, ACFC/OP/II(2015)001, January 2016
- Giorgi Sordia (2009), “A Way Out?: Initial Steps Towards Addressing Romani Issues in Georgia”, European Center for Minority Issues, ECMI Issue Brief No. 21
- Office of the State Minister of Georgia for Reconciliation and Civic Equality, “Assessment of the implementation of the National Concept for Tolerance and Civil Integration and 2013 Action Plan”, February 2014
- Office of the State Minister of Georgia for Reconciliation and Civic Equality, “Report on the implementation of the National Concept for Tolerance and Civil Integration and 2015 Action Plan”, February 2016
- U. Nanuashvili (ed.) (2003), “People without Rights: Roma Rights in Georgia”, report, Human Rights Information and Documentation Center (HRIDC), Tbilisi
- UN’s Committee on the Elimination of Racial Discrimination, ‘CERD considerations on the report of Georgia’, May 2016

